განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისათვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8.7 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

გაიზარდოს 2024 წლის ბიუჯეტი სულ შემოსავლების და გადასახდელების ნაწილში **36 007 952,94 ლარით:**

მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ნაშთია **10 927 185,04** ლარი, აქედან საკუთარი ნაშთი - **6 371 153,01** ლარია, ხოლო წინა წლების განკარგულებების ნაშთები ჯამში შეადგენს **4 556 032,03** ლარს.

აღნიშნული ცვლილების შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი იქნება **73 757 952,94** ლარი.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო ფონდებიდან გამოიყო დამატებითი თანხები

1. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის #185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის ,,განახლებული რეგიონები"-ს ფარგლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის 2021 წლის 25 მაისს გაფორმდა #2 ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც 2024 წლის გრაფიკით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **286 831,88** ლარი;

2. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2401 განკარგულებით ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 086 000** ლარი;

3. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 მაისის #668 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2402 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ", შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **10 474 817** (ათიმილიონ ოთხასამოცდათოთხმეტიათას რვაას ჩვიდმეტი) ლარი ;

4. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის #446 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის #2400 განკარგულებაში ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე", შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **9062000** (ცხრამილიონ სამოცდაორიათასი ლარი) ლარი ;

5. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 01 მარტის #298 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის საქართველოს მთავრობის #43 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ავტობუსების შესაძენად გამოეყო **515250** (ხუთას თხუთმეტიათას ორასორმოცდაათი) ლარი ;

6. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 01 მარტის #297 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის საქართველოს მთავრობის #44 განკარგულებაში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ნაგავმზიდების შესაძენად გამოეყო **900702** (ცხრაასიათას შვიდას ორი) ლარი ;

7. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის #746 განკარგულებით საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო კაპიტალური გრანტი **800 000** ლარი;

8. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის #56 განკარგულებით ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **1 936 265,73** ლარი. მათ შორის:

- საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით - **1 936 265,73** ლარი;

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანხმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **- 3517,79** (სამიათას ხუთას ჩვიდმეტი ლარი და 79 თეთრი) ლარი;

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების თანხმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **- 15383,5** (თხუთმეტიათას სამას ოთხმოცდასამი ლარი და 50 თეთრი) ლარი;

ჯამურად ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში იზრდება **25 080 767,9 ლარით:**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **73 757,95** ათას ლარს.

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8.4 პროცენტით. შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 8.4 %-ს. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2024 წლისათვის მოსალოდნელია 5.0%-ის ოდენობით;

ა) პრიორიტეტების დაფინანსება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ორგ.კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა			პრიორიტეტის %
		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00 00	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	73,757.95	28,866.53	44,891.43	**100,0**
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	9,922.10	900.70	9,021.40	**13,45**
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	38,712.56	25,559.05	13,153.51	**52,49**
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4,173.00	-	4,173.00	**5,66**
04 00	განათლება	10,556.26	1,976.74	8,579.52	**14,31**
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7,090.00	-	7,090.00	**9,61**
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,984.03	430.03	2,554.00	**4,05**
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა	320.00	-	320.00	**0,43**

ბ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური